ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 78

“18” მარტი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი №36ვ-ში მდებარე 80.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.09.035.001.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქაპლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი №36ვ-ში მდებარე 80.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.09.035.001.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 1 მარტის №22.242.278 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი №36ვ, სართული 3, ბინა №7-ში მდებარე 80.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.09.035.001.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მიხეილ გუმბერიძისთის (პ/ნ. 01027013344) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე